საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №320
2020 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის 81-ე მუხლის:

1. მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო/საბაჟო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}, 42^{11} და 44^{4} მუხლებით, 82^{5} მუხლებით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^{2} მუხლით, 91^{3} მუხლის პირველი ნაწილით, 99-ე მუხლით, 127^{1} მუხლის მე-2, 3^{1} და 3^{2} ნაწილებით, 129^{1} მუხლით, 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153^{1}, 153^{5}, 153^{7}, 153^{8}, 153^{10}–153^{12}, 154^{1}, 154^{2}, 155^{1} და 155^{2} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი-მე-18 ნაწილებით, 155^{5}, 155^{6}, 155^{7} მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, 155^{9}, 155^{10}, 157-ე, 157^{1}–157^{4}, 158-ე, 158^{1}, 159^{4}, 163-ე, 164-ე, 164^{4}, 165-ე–165^{3}, 165^{10}, 165^{11}, 171^{5}, 174^{17}, 177^{14}, 177^{15}, 178-ე, 179^{3}, 191^{1}, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^{2} მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო/საბაჟო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}, 42^{11}, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^{1} მუხლის მე-2, 3^{1} და 3^{2} ნაწილებით, 129^{1} მუხლით, 135^{2} მუხლის მე-2 ნაწილით, 153^{7}, 153^{8} და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 157-ე, 165-ე, 165^{10} და 165^{11} მუხლებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 174^{17}, 177^{14}, 177^{15},179^{3}, 191^{1}, 194-ე, 195-ე მუხლებითა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 10^{2} მუხლის მე-2 პუნქტით.“.

2. მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ

http://www.matsne.gov.ge

სამართალდარღვევათა კოდექსის 42 მუხლით, 135 მუხლის მე-2 ნაწილით, 153 , 153 და 153 –153 მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით, 174^{17}, 177^{14}, 177^{15} და 191^{1} მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**